

რედაქცია

გაზეთის პრინტირება. ი. გ. მუხრანის სახლები...
სელის-მოწერა
მოდის თვედ...
„დროება“-ნიმუხის ფასი
სელის-მოწერის ფასი

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

შპსი განსახლების

დიდი სიძლიერით...
მთავრობის...
სახლის-პატრონის...

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პრინციპით და რიგით და იმავე თანამშრომლებს დახმარებით, რაგორც აქამდე გამოვიდა. რაგორც გაზეთის დახმარებასა...

სელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის განცხადებით, გაზეთის პრინტირება...

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მიმართდნენ გაზეთი...
Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дროება“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“ ორივეზე ერთად სელის-მოწერა მომავალის წლიდან არ მიიღება.

ფასი სელის-მოწერისა:

ერთის წლით: 9 მან.
ნახევარის წლით 5 ,,
სხვა ვადით სელის-მოწერა არ შეიძლება. სკდარი ფული სელის-მოწერა...

რედაქციის სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. ბელიძეშვილი.

ხვალ, ხუთშაბათს, ნომერი არ გამოვა. პარასკევს გამოვა პირველი ნომერი 1882 წლისა.

საზაფხულო თეატრში
დღეს, 30 დეკემბერს
მართული დრამატული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
აბონემენტის რიცხვი
I
პირველად

მეფე და პოეტი
დრამატული ხრონიკა 1 მოქმედებათ
II
ცელქები
მოღვეილი 1 მოქმედებათ
III
პირველად

საახალწლო
მიმოხილვა 3 სურათად თხზ. ი. მე—სი
დასასრულ
სოცხალი სურათი
და
ლეკური
ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.
ფასსწიის 7 1/2 სანთ

პეტრეშვილი, 28 დეკემბერს. გაზეთებში დაბეჭდილია, რომ სამხედრო სასამართლოების წესდება შეი-

ცვლება; ეს სასამართლოები სამხედრო მთავრობას უნდა ექნებინა შემდეგში დამოკიდებულება; გარეშე ზნით ამ სასამართლოებში საქმეების განჩევის დროს არ შეუშვებენ და არც აქ განჩეული საქმეები დაიბეჭდება.

პარიში, 28 დეკემბერს. გამოჩენილის რევოლუციონერის ბლანკის სიკვდილის დღეობაზე, რადიკალებმა გამართეს პრეცესია, მიტინგების საფლავზე ასაფლავებელი სიტყვები წარმოითქვა და ამის გამო 23 კაცი უწყესების მომხდენი, სხვათა შორის ლუიზა მიშელი, დაატყუა.

„დროების სტოლის“ შემოღება

თფილისი, 29 დეკემბერს. ამ ათი დღის წინადა, ოფიციალურს გაზეთს „საგვარში“ დაბეჭდილი იყო „წესდება ადრესის სტოლისა“, რომელიც ამ 1882 წლის 1 იანვრიდან უნდა შემოღებულიყო ჩვენს ქალაქში.

ეს ახალი განკარგულება ისე უცნაურად და მოულოდნელად გამოცხადდა, რომ არა-თუ მცხოვრებლებმა, თვით ქალაქის თვითმმართველობამაც არ იცოდა, თუ პოლიციას და ადმინისტრაციას ამის განზრახვა ჰქონდათ.

დაიბეჭდა თუ არა წესდება, თითქმის მეორე დღესვე იმის სისრულეში მოყვანას შეუდგა ჩვენი პოლიცია: პოლიციის აფიცრები და სალდათები რაღაც დავთრებითა და ფერად-ფერად

ფურცლებით დადოვნენ სახლებში და ურიგებდნენ სახლის-პატრონებს; ერთსა-და-იმად დავთარსა და ფურცლებს ზოგს ორ-სამ ძანეთად აძლევდნენ და ზოგს კი ექვს-შვიდს და რვა მანეთსაც ახდევინებდნენ. მინც ამბობდა: არ ვიცით—რა არის, მოგითმინეთო,—პოლიციელები თურმე ემუქრებოდნენ: აიღეთ ახლაც და ფული წარმოადგინეთ, თორემ პროტოკოლს შევიღებთო!

შველა ეს ჩვენ ისედაც ვიცით და განსაკუთრებით გამოაშკარადა 21-ს ამ თვის ქალაქის ჩრევის სდომში. სახლის-პატრონს ვერა ნახავთ, რომ ქაყოფილი იყვეს ამ ახალ განკარგულებისა და წესისა. ზანსაკუთრებით სომხები ჯავრობენ, რადგან, როგორც ამბობენ, იმათ ქალების მოწოდებაში პოლიციას ყვეთელი ფურცლები დაურიგებია თითოეულ მოლოზისთვის...

რა არის მიზეზი ამ საზოგადო უკმაყოფილებისა „ადრესის სტოლის“ შემოღებაზე?

პირველი და უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ წესდება ამ „სტოლისა“ ერთობ რთულია, გაუგებარი მდებობა ხალხისათვის. იმდენ ცნობებს და ისეთს ცნობებს თხოულობს პოლიცია ადრესის სტოლის დავთრებში და ფურცლებში ჩასაწერად ყველა სახლის-პატრონისაგან, რომ იმის შესრულება ყველასათვის ძნელი და გასაჭირია და განსაკუთრებით ქალაქის უმცირე, გაუნათლებელ და ხშირად წერა-კითხვის უცოდინარ ხალხისათვის. ამას გარდა, თუ ერთი რამ მოთხოვნილება, სულ უბრალოც რო იყოს, არ შეასრულა ვინმემ, პოლიციას უფლება აქვს სასამართლოში წაათრიოს და ჯარიმა გადახდევინოს.

მეორე და სხვა ამ გვარი ნაკლებად ენება ახლად-დასაწესებელის ადრესის სტოლისა ადვილად თავიდან ასაცილებნი იყო, თუ რომ ადმინისტრაცია ასე არ აჩქარებულყო და ჯერ ქალაქის თვით-მმართველობისათვის შეეტყობინებია თავისი განზრახვა და აგრეთვე ადგილობრივ გაზეთებშიც გამოეცხადებინა, რომ, ამ ნიშნად, ყველას შესძლებოდა სჯა, გარკვევა ამ წესდებისა და ჩვენება—თუ როგორ და რა წესით საუბეჯობდნენ იქნება ამ „სტოლის“ დაფუძნება ჩვენს ქალაქში. ამის მაგიერ, პოლიცია პირ-და-პირ, ყველასაგან მოულოდნელად შეუდგა ამ საქმის სისრულეში მოყვანას და აქედამ წარმოსდგა როგორც ის ზოგიერი ნაკლებად ენება ხსენებულ წესდებისა, აგრეთვე ის

უკმაყოფილება, რომელიც მთელი მცხოვრებლებში გაისმის ამ წამდ იმის შემოღებაზე.

შემოხსენებულ კრებაზე 21-ს ქრისტეშობისთვის ქალაქის ჩრევი ქალაქის თავს მიანდა ამ საგნის შესახებ მოვლასაგან მთავარ-მმართველის სამმართველოს შეროსთან და ეთხოვნა იმისთვის, რომ „ადრესის სტოლის“ შემოღება შეეჩერებინა.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქალაქის თავი ბ. მატინოვი უკვე ყოფილა მთავარ-მმართველის სამმართველოს შეროსთან ბ. სტაროსელსკისთან, აუხსნია ქალაქის ხალხის გაჭირება და შევიწროება ამ „ადრესის სტოლის“ ამ გვარად შემოღებისაგან და ბ. სტაროსელსკისაც შეუწყნარებია ქალაქის თხოვნა; უბრძანებია, რომ პოლიციამ დროებით შეეჩეროს ყოველივე განკარგულება ადრესის სტოლის შემოღებაზე ქ. მთელიში.

ასე სჯობიან. ახლა, როდესაც ადმინისტრაციას საჭიროდ დაუნახავს ჩვენს ქალაქში ადრესის სტოლის შემოღება და ამის წესდება შეუდგენია, ქალაქის ჩრევისა და ადგილობრივ გაზეთებსაც შეუძლიანთ მოილოპარაკონ ამ საგანზე, გაასწორონ, თუ რამ ნაკლებად ენება აქვს; შეავსონ, თუ რამ აკლია; დააკლონ, თუ რამ მომეტებულია, და ბოლოს დაამტკიცონ და შემოიღონ. მაგრამ დამტკიცებამდინ ჯერ კიდევ საჭიროა, ხალხს გააცნონ კარგად ეს წესდება, შეეტყობინონ—თუ რა ახალი წესდება შემოდის ქალაქში, რა დანიშნულება აქვს იმას და როგორ უნდა მოვიდეს სისრულეში. თორემ ფუსფუსითა და აჩქარებით, მოგვხსენებთ, სოფელი არ ამენდება...

ბათუმის ნავთსადგური და მისი მნიშვნელობა საფრანგეთთან კავშირის დაახსების მხრით *)

ბათუმი, რომელიც მდებარებს შავის ზღვის ნაპირზე—131 კილომეტრის მანძილზე ტრაპიზონიდან, არის ერთი საუკეთესო ნავთ-სადგური ამ ზღვის აღმოსავლეთის ნაპირისა. ეს ქალაქი შეუერთდა რუსეთს 1878 წელსა და, ბერლინის ტრაქტატის ძალით, აღიარებულ იქნა თავისუფალ ნავთ-სადგურად.

აქ საჭიროა მოვიგონოთ, რომ ქალაქის მდგის კეთილ-დღეობა იყო მხოლოდ 1802 წლიდან, როდესაც

*) ეს სტატია ბ-ნი ზ. მჭედლიძისა და სხვების მიერ დაწერილია და გამოქვეყნდა „La Gazette du Midi“ და იქიდან ვითარებულ ქართულად. რედ.

იგი აღიარებულ იქნა თავისუფალ ნაფთ-სადგურად; იმ დრომდე იგი იყო ერთი უბრალო ქალაქი და დღეს კი მთელი სამხრეთ რუსეთის უწარჩინებულესი ქალაქია.

ის მნიშვნელობა, რაც დღეს მდენას აქვს, უეჭველია, მოელის ბათუმსაც უსახებ მთელი ქვეყანის მხრისა, და სახელდობრ: საქართველოსა, სომხეთისა და სპარსეთისა, ამ გზით დარღვეულ ის ტრანზიტის წყალობით.

რუსეთის მთავრობამ უკვე გარდასწყვიტა ბათუმის ნაფთ-სადგურის გაფართოებით მისი გაუმჯობესობა. რკინის გზა, რომელიც კეთდება ამჟამად, შეაერთებს ბათუმს შოთი-მთილისის რკინის გზასთან; ეს გზა გაყვანილი იქნება მთილისიდან ბაქომდე, რომელიც მდებარებს პასიის ზღვის ნაპირად; ბაქოდან, უკვე დაარსებული ცეცხლის ორთქლით მავალი გემები აერთებენ სპარსეთს მეორეს მხრით ქ. შარსი ეგრეთვე რუსეთის-მიერ შემდგენილი 1878 წელში, შეუერთდება ბათუმს გზა-ტყევილით, რომლის კეთება უკვე დაწყებულია.

ამ ნაირად ბათუმის ნაფთსადგური დააკმაყოფილებს ვაჭრობისთვის უპირველეს მოთხოვნილებას და ზემოხსენებული ადგილების ექსპლუატაციას, რომლების უმთავრესი ოპერაციები გამოიხატვის შემდეგში:

1) ხორბლის გამოტანა შარსის მახრიდგან, რომელიც ერთობ ნაყოფიერი ქვეყანაა და სადაც ამ ნაწარმოების ფასი უმცირესია მდენისაზე;

2) ექსპლუატაცია ქვა-გუნდისა (მარგანეცისა), რომელიც დიდი ხანი არ არის აღმოჩნდა მახლობლად შორხისა. მდინარე შორხი ერთვის ბათუმის მახლობლად შეზღვეს და საკმაო იქნება უბრალო გზა-ტყევილის გაკეთება, მანქანების მდებარე ადგილების შორხთან შეერთებისთვის;

3) სხვა ნაწარმოებნი იმავე ქვეყნებისა სახელდობრ: მატყლი, ბამბა, აბრეშუმი ნიგვზის ხე და სხვა;

4) ნავთი, რომლის ფრიად უხვი წყაროები აღმოჩენილია ბაქას და მის მახლობლად და რომლის ფასი ისე მცირეა, რომ შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ამერიკის ნავთს—ხმელთა-შუა ზღვის მახლობელ ქვეყნებში მაინცა.

5) ტრანზიტის სპარსეთში შეტანილის და იქიდან გამოტანილის ნაწარმოებებისა პასიის ზღვით და რკინის გზით ბაქოდან ბათუმამდე და ბათუმისგან ზღვის გემებით მარსელამდე.

დღემდის საფრანგეთის ზოგიერთა ნაწარმოებნი საკმაოდ არ იყენენ ცნობილნი ქვეყანის ნაწილებში, საქართველოში და სომხეთში, რადგანაც ზოგიერთი იმეათი შემომტანი საგაჭრო სახლები, რომლებიც აქ სწარმოებდნენ, სცდილობდნენ დაეტოვებინათ ხალხი უმეცრებაში და სარგებლობდნენ პესტრის ნაწარმოებების შემოტანით.

საფრანგეთის ნაწარმოების გასაყვრებლად ხსენებულ ქვეყნებში საკმარისი იქნება გაიგზავნოს რაოდენიმე კარგად შემკული პარტია საქონელი: სახვანანი ნაქსოვები, მოდები, სასმელები, პარიკის ხელოვნებანი, მარსელიის პრტყელი კრამტი, რომლის უკვე ხმარებამ დაამტკიცა მისი ფარგისობა და ხელ-მიცემობა დღემდე ხმარებულ და უფრო ძვირად დამჯდომ ქვების და ცინკურის სახურავის წინაშე.

და რადგანაც, ეკონომიური პრინციპის მიხედვით, ნაწარმოებნი ინაცვლებიან ნაწარმოებებზე, საფრანგეთიდან გამოგზავნილი საქონლებით გემები დაბრუნდებიან დატვირთულნი, ნაცვლად მოტანილის საქონლებისა, ქვა-გუნდით (მარგანეცით), აბრეშუმის ქვის, მატყლის და სხვა ადგილობრივ ნაწარმოებებით, გარდა ხორბლისა, რომელიც შეადგენს ვაჭრობის აუცილებელ და მუდმივ საგანს.

ზემოთ მოხსენებული ამტკიცებს, რომ ვაჭრობას და გემთ-მავლობას ექმნებათ მუდმივი სარჩო თქვენს ქვეყნებსა და ქვეყანის შორის მომეტებულად მაშინ, თუ გემთ-პატრონი შეამსუბუქებინებენ წაღებ-მოტანის პირობებს (ფასს). მაშასადამე უეჭვო სარგებლობა იქმნება ქვეყანაში, სომხეთში და სპარსეთში ტრანზიტით შემოტანა საფრანგეთის ნაწარმოებისა და ნაცვლად გატანა ადგილობრივი ნაწარმოებებისა ბათუმის ნაფთსადგურს გზით, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პირობებს როგორც დასატიერთავე ნავთ-სადგური.

ამასთანავე სასურველია, რომ ბათუმის პორტო-ფრანკობის გამოყენებით, დაარსდეს ამ ქალაქში საფრანგეთის ნაწარმოებების ვრცელი დეპოზიტები, რათა ახლო გარშემორტყმული ადგილები ყოველთვის ჰპოვებდნენ საჭირო საქონელს. აღებ-მიცემის და ურთიერთ-შორის დამკვიდრებულის კავშირის წყალობით, საფრანგეთი იძულებული იქნება გამოგზავნოს მოგზაურები და ტურისტები და ეს მშვენიერი, დღემდის ნაკლებად ცნობილი მხარე, უფრო გამოიკვლევა და დაფასდება. ამასთანავე დავამატებ, რომ საფრანგეთის ენა და ლიტერატურა, რომელნიც უკვე პატივდებაში არიან რუსეთის სხვა ნაწილებში, უეჭველია, შეიქმნებიან წინა-მორბედნი უფრო ვრცელის ვაჭრულის მოძრაობისა, რადგანაც არაფერ უარყოფს იდეების გავლენას ჩვეულებებზე და მასთანავე აღებ-მიცემობის დადგენაზე ქვეყნებს შორის. ამ ნაირის მშვიდობიანის გავლენის წყალობით, ეს ორი ხალხი მომიკან აშკარა სარგებლობას და, რასაკვირველია, მარსელიის პორტიც ისარგებლებს მომეტებულად.

დღემდის შოთის პორტი (ნავთ-სადგური) იყო ზოგიერთა საფრანგეთის ნაწარმოების შესატანი კარი, მაგრამ ეს პორტი იმ ნაირ მდგომარეობაშია, რომ, თუმცა რუსის მთავრობამ დიდ-ძალი ფული დახარჯა იმის გასაყვრებლად, მაგრამ არაფერი გარიგდა; ამის გამო მუშაობა მის გასაუმჯობესებლად თითქმის შეჩერებულია. ამ გარემოების ძალით ბათუმში დანიშნულია ჩაიბაროს შოთის მემკვიდრეობა.

ბათუმში, რომ, თუმცა რუსის მთავრობამ დიდ-ძალი ფული დახარჯა იმის გასაყვრებლად, მაგრამ არაფერი გარიგდა; ამის გამო მუშაობა მის გასაუმჯობესებლად თითქმის შეჩერებულია. ამ გარემოების ძალით ბათუმში დანიშნულია ჩაიბაროს შოთის მემკვიდრეობა.

ზ. მჭედლიშვილი

ახალი ამბები.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ შუთაისის გუბერნიის ხაზინაში ხუთი ათას თუმანდინ აღმოჩენილია შექმნილი და არა სამი ათასი თუმანი, როგორც გუშინ იყო მოხსენებული.

ამ საქმის თაობაზე შამოძიების მოსახდენად აქაურ პორტოლის პალატას, როგორც გვაცნობებენ, ამ დღეებში ერთი თავის ჩინოვიკი გაუგზავნა შუთაისში.

შოთის ისეთს ამბავს გვწერენ ჩვენ ზემო-მხრეთის სოფლიდან ამასუყეთი-დამ, რომელიც მარტო ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მოხდეს.

მრი წელწადია თურმე, რაც ამ სოფელში სკოლა დაიხურა, მაგრამ აღმინისტრაცია დღემდინ სახელმწიფო გადასახდთან ერთად ახდენენ სოფელს ამ სკოლის მასწავლებლის ჯამაგირისათვის ფულსა!

მრი გარემოება გვაკვირებს ამ შემთხვევაში: ან აღმინისტრაცია რა უფლებით ახდენენ ხალხს ფულს იმ სკოლისათვის, რომელიც დიდი ხანია არ არსებობს, და ან, ის თუ ახდენენ, მასწავლებელს რა პირი, რასინილისი აძლევს ნებას, რომ უსაქმოდ იყოს და საბრალო გლეხების ფული სჭამოს?

ბ-ნი მთილისის ლუბერნატორისგან ოფიციალურად გამოცხადებულის ანგარიშიდან სჩანს, რომ წელს მთილისის გუბერნიის მხარეში შემდეგი მოსავალი ყოფილა:

თფალისის მხარაში ღვინო და ხილი თითქმის ნახევარი მოსულა შარშანდელთან შედარებით, სიცივისა და სეტყვის გამო; დუშეთის მხარაში რთველი დროზე მოუსწვრიათ და საკმაო ღვინოც მოსულა; თანეთის მხარაში ღვინის მოსავალი, სეტყვის გამო, შარშანდელზე ნაკლები ყოფილა, ხილიც შარშანდელზე ნაკლები, მაგრამ მაგიერად უკეთესი; სიღნაღის მხარაში ღვინო ნაკლებად მოსულა წელს, სეტყვისა და „ნაცრის“ წყალობით; ვედრო 2 მან. და 20 კაპ. ისყიდებოდა; ბევრი წვანილეული და ხილი; თელავის მხარაში აგრეთვე სეტყვას გაუფუჭებია ბევრგან ვენახები და ამის გამო ღვინოც ნაკლებად მოსულა, მაგრამ კარგი ფასი აქვს; გოდაის მხარაში ღვინის მოსავალი კარგი, აგრეთვე ხილისა და სხე.

მოსკოვის სომხებს, როგორც რუსულ გაზეთებში იწერებინან, სომხური წარმოდგენა გაუმართავთ იქაურ სომხის სტუდენტების სასარგებლოდ და ათას მანეთამდინ მოუგროვებიათ.

წარმოუდგენიათ ბორჯუის ფრანკურულადამ ნათარგმნის ბრენა-ბრენა და სუნდუკიანის... ცხვირის დაცემინება—კარგი ნიშანია“.

ამ დღეებში დაიბეჭდა და გამოვიდა კიდევ ქადაგების წიგნი ამბროსი ნეკრესელი ეპისკოპოსისა, რომელიც ერთ საუკეთესო მქადაგებლად ითვლება ჩვენ ძველ სასულიერო მქადაგებელთა შორის. წიგნთან ჩართულია მ. დ. ჯანაშვილის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოხსენებულია ცხოვრება ამბროსისა და ამის ქადაგებათა ღირსება.

შამოძიებელი ამ ჩინებულის წიგნისა ყოველად-სამღვდლო პლექსანდრე ეპისკოპოსი, როგორც შევიტყუეთ, მარტო ამ წიგნის გამოცემით არ კმაყოფილდება: მოწადინეა გამოსცეს აგრეთვე სხვა ძველი ქართველთა საეკლესიო მწერლების ნაწილი და მქადაგებელთა ქადაგებანი. შეშარბიტად საქებია მოღვაწეობა ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსისა! ნახონ ჩვენმა ახლანდელ სულიერ მამებმა და იქნება, ერთის მხრით, ჩვენ ძველ სულიერ მამებს წაბაძონ და, მეორეს მხრით, ალექსანდრე ეპისკოპოსის მოღვაწეობას...

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენი ქალაქის ერთს სტამბაში იბეჭდება ამჟამად საქართველოს ისტორია მ. იოანე ბერამაძისა (მინმე მესხისა), რომელიც ორ წიგნად გამოვაო: პირველი ნაწილი შეიცავს საქართველოს ძველ ისტორიას ქრისტიანობის მიღებამდინ და მეორე ქრისტიანობიდან მეცხრამეტე საუკუნემდინ.

„გამტკიცებ“.
დროებით-აღმსრულებელი
გაგასიის მთავარ-მმართველის
თანამდებობისა, ლენკრა-ადიუტანტი
თავადი მელიქიჯი.


11 დეკემბერს 1881 წ.

ქ. თბილისი.

წესდება

სახაზინო და საზოგადო დაწესებულებათათვის, სახლის-მეპატრონეთა, სასტუმროს, მარკასლის პატრონეთათვის და სხვ. სახლის წიგნებისა და საადრასო უფრცლავის მმართველთათვის.

§ 1. შოველი სახლის-პატრონი, კერძო, სახაზინო ანუ საეკლესიო სახლის გამგებელი, აგრეთვე ვინც სასტუმროს-მეპეტილიან სადგომებს, დუქნებს და სხ. იჭერს, ვალდებული არიან დადგენილის წესით განაგონ სახლის-წიგნები და ჩასწერონ ამ წიგნებში ყველა, ვინც კი ამათ სახლებში დროებით ანუ სამუდამოდ დგას. ამას გარდა ესევე პირები ვალდებული არიან, თუ ვინმე გადავა ანუ გადმოვა ამათ სახლებში, ეს გარემოება 12 საათის განმავლობაში აცნობონ დგლის საპოლიციო უჩასტკაში დაწესებულის ბლანკით.



შენიშვნა. იმ სახლებში, რომლებშიც გამართულია სასტუმრო, პოსტოალი დეორები, ქარვასლები, მებელიანი ოთახები და სხვ., ამ ზავედენების პატრონებს აქვთ სხვა-გვარი წიგნები, და თანახმად პასპორტის წესდების 343 მუხლისა XIV ტომ., აცნობებენ პოლიციას მხოლოდ მომსვლელ-წამსვლელთ ვინაობას.

§ 2. სახლის-წიგნში, პოლიციისაგან დანიშნულს ვადაზე, სახლის-პატრონისგან, ანუ კერძო, სახაზინო და საზოგადო სახლის გამგებელთაგან ჩაწერილი უნდა იყენენ ყველა მდგმურები სახლისა, მამრობით და დედრობით სქესისა, ყველა წლოვანობისა და ხარისხისა, როგორც მუდამ მდგმურნი, აგრეთვე დროებით ჩამომხტარნი, დანიშნულ დღის დღის 8 საათამდინ.

§ 3. ამა § 2 მუხლის თანახმად, სახლის-წიგნში მუდამ უნდა იქმნეს ჩაწერილი: ა) თვითონ სახლის-პატრონები, იმათი ოჯახობა და მოსამსახურეები, ბ) მდგმურები, იმათი ოჯახობა და მოსამსახურეები, გ) რაიმე მიზეზით ქალაქში ჩამოსული და სახლის-პატრონთან ანუ იმის მდგმურებთან ჩამომხტარი სტუმარი, იმის ოჯახობა და მოსამსახურეები.

შენიშვნა. ამ გვარი ჩამოსული ხალხი, თუნდაც იმავე დღეს ემზადებოდნენ ქალაქიდან შინ დაბრუნებას ანუ სხვაგან სადმე წასვლას, მაინც უნდა ჩაიწეროს სახლის-წიგნში.

§ 4. როდესაც ამნაირად ქალაქის ყველა მცხოვრებნი სახლის-წიგნებში იქმნებიან ჩაწერილნი, შემდეგ, 12 საათის განმავლობაში სახლის-პატრონები და კერძო, სახაზინო ანუ საზოგადო სახლების გამგებელნი მოვალენი არიან ამ წიგნიდან ცალკე ორ ფურცელზე გადმოწერონ ყველა მდგმურები და ეს გადაწერილი ფურცლები ადგილის პოლიციის უჩასტკაში გაგზავნონ.

§ 5. როდესაც სახლის-პატრონები, აგრეთვე კერძო, სახაზინო და საზოგადო სახლის გამგებელნი ამ წესს შეასრულებენ, შემდეგ თუ ვინმე ან მოკვდა იმათ სახლში, ან ახალი ვინმე დადგა, ან გადავიდა, ან მოსამსახურე და სხვ. ყველა ამგვარები სახლის-წიგნში უნდა ჩაიწეროს, ამ წიგნიდან გადიწეროს ორს ადრესის ფურცელზე და 12 საათის განმავლობაში წარუდგინოს პოლიციას.

§ 6. თუ სახლის-პატრონი, ანუ კერძო, სახაზინო და საზოგადო სახლის გამგებელმა რუსული ენა არ იცის, შეუძლიან ყველა ზემოხსენებული ცნობები ქართულად, თათრულად ანუ სომხურად ჩააწეროს სახლის-წიგნებში; მხოლოდ ყოველი ცნობა გარკვევით და ადვილად გარჩევის ხელით უნდა იყოს დაწერილი.

§ 7. სახლის-წიგნები ყოველთვის წესიერად და სუფთად უნდა იყოს შენახული.

შენიშვნა. პირველ მოთხოვნაზედ კი პოლიციას უნდა წარუდგინონ პატრონებმა სახლის-წიგნები.

§ 8. სახლის-პატრონები, კერძო, სახაზინო და სხვ. სახლების გამგებელნი შემდეგის წესდებით ხელმძღვანელობენ:

1) **თეთს.** შურცლებზე უნდა დასწერონ მხოლოდ ისეთი პირები, რომელნიც მუდამ ქ. თფილისში ცხოვრებენ, ანუ ერთსა-და-იმავე უჩასტკაში ერთს სახლიდან მეორე სახლში გადადიან.

2) **მწვანე** ფურცლებზე უნდა დაიწეროს ცნობანი ისეთ პირებზე, რომელნიც ქალაქიდან გადიან, საერთო-მყოფოში შედიან, ანუ კვდებიან, ანუ რომელთაც ციხეში იჭერენ.

3) **მთვითაღო** ფურცლები დროებით დათხოვნილი სალდათების ჩასაწერად არის.

4) **ლურჯს** ფურცლებზე უნდა დაიწერონ უნაშუსო ქალები და აგრეთვე პოლიციის მხედველობის ქვეშე მყოფი პირები.

შენიშვნა. მოყვითალო და ლურჯი ფურცლები უნდა იხმარონ ყოველთვის, როდესაც საჭიროა ცნობის მიღება იმ პირების შესახებ, რომელთათვის ამ-ფერი ქალაქი არის დანიშნული.

5) **შოველი პირი**, რომელიც რაიმე საქმისთვის მოდის თფილისში, ანუ მიდის აქედამ ადრესის ცალკე ფურცელზე უნდა იქმნეს დაწერილი.

6) **ცოლები**, თუნდაც ერთად ცხოვრებდნენ თავიანთ ქმრებთან, მაინც ცალკე ფურცელზე უნდა იყენენ ჩაწერილნი, მცირე-წლოვანი ყრმანი დედის ფურცელთან ერთად უნდა ჩაიწეროს.

7) **ცალკე ადრესის ფურცელში** არ ჩაიწერებიან: ა) მცირე-წლოვანნი, რომელნიც მშობლებთან ანუ ნათესავებთან ცხოვრებენ; ბ) ყველა სასწავლებლების შაგირდები, რომელნიც თვით სასწავლებლებში დგანან; დ) მგალობელნი და მოსამსახურენი მონასტრებისა და არქიერებისა და ე) ყველანი, ვინც დროებით მოდის სავაჭროდ და, საქარლის გაუსყიდველობის გამო ღამეს გაათევს ქალაქში.

8) **შველა ცნობანი** ადრესის ფურცელზე გასარკვევად და კარგად უნდა იყოს დაწერილი და ყველაფერი უნდა იყოს მოხსენებული, რაც კი იმაში სწვრია.

9) **ადრესის ფურცელთან** ერთად იგზავნება პოლიციაში ცალკე ქალაქი, რომელშიც მოხსენებული უნდა იყოს ქუჩა, ნომერი (№) სახლისა, სახელი, გვარი, ჩინი, ღირსება სახლის-პატრონისა და რიცხვი თითოეულ ფერი ფურცლისა. ეს ქალაქი გამოგზავნიან უნდა იყოს ხელმოწერილი და ბოლოს ეწეროს აგრეთვე წელიწადი, თვე და რიცხვი.

10) **შველა, ვინც თფილისში** ჩამოვა, ვალდებულია თავის სახლის-პატრონს ანუ სახლის გამგებელს წარუდგინოს თავის პასპორტი ანუ ბილეთი და ამას გარდა სახლის-პატრონისაგან მიღებულს ორს თეთრ ფურცელზე დასწეროს თავის და თავის ცოლ-შვილის ვინაობა, (თუ ცოლ-

შვილიც თანა ჰყავს). ეს ცნობები ამოკრეფილი უნდა იყოს პასპორტიდან ანუ ბილეთიდან და სხვ. მოწმობიდან. სახლის-პატრონი ანუ გამგებელი ამ ცნობათ ჯერ სახლის წიგნში შეიტანს და შემდეგ პოლიციის უჩასტკაში გზავნის.

11) **როდესაც** რომელიმე პირი ერთი უჩასტკიდან მეორეში გადავა, ვალდებულია თავის ძველ სახლის-პატრონს მისცეს ორი ადრესის ფურცელი, თეთრი და მწვანე, და ეს ფურცლები იგზავნება იმ უჩასტკაში, რომელშიც ის იდგა.

შენიშვნა. იგივე პირი ვალდებულია თავის ახალ სახლის-პატრონს მისცეს ორი თეთრი ადრესის ფურცელი კუთვნილის ცნობებით.

13) **როდესაც** რომელიმე პირი ერთი სახლიდან მეორეში გადადის, მხოლოდ იმავე უჩასტკაში, ორივე სახლის-პატრონები მოვალენი არიან ამის შესახებ ცნობები თეთრ ადრესის ფურცელზე დაწერილი გაგზავნონ უჩასტკაში.

13) **როდესაც** რომელიმე მდგმური სხვა წოდებაში გადადის, ანუ ახალს ღირსებას ანუ ჩინს შეიძენს, მაგ. როდესაც ვინმე ვაჭრობის წოდებიდან მესხანად ჩაიწერება, ანუ ახალ ჩინს მიიღებს, ყოველ ამ გვარ შემთხვევაში ეს პირი ვალდებულია სახლის-პატრონს ანუ გამგებელს აცნობოს და ესენი, თავის მხრით მოვალენი არიან, ამ პირისა და იმის ცოლ-შვილის შესახებ, ახალი ადრესის ფურცლები წარადგინონ პოლიციაში.

14) **იმ პირთ შესახებ, რომელნიც** ქალაქიდან გადიან, სახლის-პატრონები და გამგებელნი მოვალენი არიან ორის მწვანე ადრესის ფურცლით შეატყობინონ ეს ამბავი პოლიციას. ამ გვარსავე მწვანე ფურცლებზე უნდა წარიდგინოს ცნობანი აგრეთვე იმ პირებზე, რომელნიც საერთო-მყოფოში მიდიან ანუ რომელთაც ატუსაღებენ, და ამასთან ქალაქიდან გასულზე იწერება: რომელ ქალაქში ანუ სოფელში წავიდა; საერთო-მყოფოში შესულზე იწერება: „საერთო-მყოფოში“, დატუსაღებულზე — „დაჭერილია“. ამას გარდა ამავე ფურცელზე გასვლის დრო, წელიწადი, თვე და რიცხვი.

§ 9. თუ პოლიციამ აღმოაჩინა, რომ რომელსამე მდგმურს მოტყუებით ჩაუწერია თავის ადრესი ანუ სახლის-პატრონმა დროზე არ წარმოადგინა საჭირო ცნობანი და ფურცლები, დამნაშავენი დაისჯებიან „მომრიგ. მოსამ. წესდ. 26-58 და 59 მუხლის ძალით.

§ 10. შოველი პირი ანუ საზოგადოება, რომელიც ქ. თფილისში უძრავ მამულისა ანუ რომელიმე ზავედენის პატრონად ხდება, მაგ. სავაჭრო, სახელოსნო ზავედენისა ანუ თაბრიკისა, აგრეთვე ახალი კამისიონერობა, ბანკის კანტორები, პანსიონები და საზოგადოდ ყოველი ზავედენები მოვალენი არიან, თავიანთ საკუთრების შეძენის დოკუმენტებთან

ერთად მისცენ სახლის-პატრონს ანუ გამგებელს, ორს თეთრ ადრესის ფურცელზე, ყოველი ცნობა, რაც ამ ფურცლებში ჩამოთვლილია. სახლის-პატრონი მოვალენა, ეს ცნობანი ჯერ სახლის წიგნში ჩაიწეროს და მერე გაგზავნოს პოლიციაში.

§ 11. როდესაც რომელიმე ზავედენია ერთს სახლიდან მეორეში გადააქვთ იმავე უჩასტკაში, ამ შემთხვევაში ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ერთს პირის ერთი სახლიდან მეორეში გადასვლის დროს.

§ 12. როდესაც სახელოსნო, სავაჭრო და სხვა ამ გვარ ზავედენებს ერთი სახლიდან მეორეში იმავე უჩასტკაში გადაიტანენ, ამ შემთხვევაში ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ერთს პირის ერთი სახლიდან მეორეში გადასვლის დროს.

§ 13. თუ ზავედენია არ გადავიდა, ამ შემთხვევაში ისე უნდა მოიქცნენ, როგორც კერძო პირის შესახებ.

§ 14. ზავედენების შესახებ ფურცლები ცალკე უნდა იქმნეს წარდგენილი და ამ ზავედენიაში მდგომ ანუ ჩამომხტარ პირების ფურცლები — ცალკე.

§ 15. როდესაც ზავედენია ერთს სახლიდან მეორის ხელში გადადის, უნდა აცნობონ იმ სახლის-პატრონს ანუ გამგებელს, რომელშიც ეს ზავედენია არის და ამან თავის პოლიციის უჩასტკას შეატყობინოს: ვისგან ვის ხელში გადავიდა ზავედენია და თან ახალ პატრონის ყოველი დოკუმენტები წარუდგინოს.


§ 16. თუ ვინც ცნობა პატრონი მოკვდა და იმის ზავედენია ანუ ქონება ისეთს მემკვიდრეების ხელში გადავიდა, რომელთაც სხვა გვარი აქვთ, ამ შემთხვევაში ყოველ ახალ მებატრონეთ შესახებ ორი ადრესის ფურცელი უნდა იქმნეს წარდგენილი და თითოეულ მებატრონის ფურცლებში მოხსენებული უნდა იყოს, რომ ესა-და-ეს მამული ამა-და-ამ პირთ საერთოდ ეკუთვნისო.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! ამ ხანებში გარდიცვალა ქ. ზორს ერთი იქაური მოქალაქე სომეხის სარწმუნოებისა ივანე ამირალაშვილი. ამის დასაფლავებაზედ წარმოითქვა სიტყვა მეგობართაგან. რათგან ქ. ზორს თითქმის არავინ იცის სომეხური ენა, ამის გამო სიტყვა ითქვა ქართულად და სხვათა შორის შიო ღვეითიშვილისაგან.

არ გასულა რამ ხანი, რომ ზორის მაზრის უფროსს მოუვიდა სომეხების სავაზრო კონსისტორიიდან 19 ოქტომბრიდან 1881 წლის, № 3174, მოწერილი შემდეგი ქალაქი რუსულს ენაზედ:

„Грузино-Имеретинская Армяно-Григоріанская епарх. консисторія проситъ Ваше Сіятельство отобрать отъ Шіо Давидова, служащаго секретаремъ при Городской Управѣ,



объяснение въ томъ: съ чьего разрѣшенія онъ сказыль надгробное слово на грузинскомъ языкѣ въ Армянской церкви при совершеиіи понихиды надъ умершимъ Иваномъ Амираговымъ, т. е., просиль-ли отъ кого и поручиль-ли на это разрѣшеніе, и отъ кого именно; ко-вовое объясненіе прислать въ Кон-систорію“.

ამგვარმა ქალღმერთმა მრავალნი შეიყვანა განცვიფრებაში. ნუთუ, როგორც მიიღო მომეტებულმა ნაწილმა ბორს მცხოვრებელთა, მართლა უნდა იყენ ეს ქალღმერთი ისე ავსნათ, რომ სომხების სამღვდლოებას საწყენად აქვს, რომ ქართველთ ქალაქში (თუნდა ქართველის ქალაქიც არ იყვეს და იყვეს თვით ჰაიასტანში) ქართველ მოქალაქეს უთხრეს ქართულად სიტყვა? მე ეს არა მჯერა, რომ აქამდის მიეღწიოს იმ ხალხის სასულიერო წოდებას, რომლისთვისაც ქართველ ხალხს გაუღია გული, სახელი და თავის მამულში შეუფარებინებია თავი და უხსნია მტრისაგან ათასგვარად და დაუცავს საკუთარი სისხლით! მე არა მჯერა, რომ იწყენდა ქართულს ენას იმ ხალხის სასულიერო გამგეობა, რომელიც ათასი კვირით არის ქართველ ერთან გადაბმული, და რომელიც უნდა ცდილობდეს ქართველ ხალხთან ერთად ჭირისა და ღვინის გაძღოლას!

სასიამოვნო იქნება, თუ ძონის-ტორია ავსენის სხვათრეც ამ თავის დაუფიქრებელს ქალღმერთს. შასუხო-ბა-კი მოგვცემს ნებას მივცეთ ამ ქალღმერთს მოყვანილი აზრი.

ღრაპი, მაული, ტრიკო, ალბომე-ბი, სახამტო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—15)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებული დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იპიდება: ზარქსანა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ.—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—52)

ლონდონის მაღაზია გომერტიულის ბანკის ქვეშ დაწესებულია ნამდვილი ჩაი-გასასუიდათ პირველი შოკრეფისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თაფებისა, რეკლავებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, გრანდაშებისა, დანებისა, ვოვებისა, ჩაინებისა, შო-

კოლადისა, კაკოსი, დუხებისა, სპონი-სა, შო კებისა, ცვირ-სასრცისა, ქა-ლაღისა, კანდაშებისა, კაღებისა, უხ-გრებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშ-ვინი ზეთისა) და სხვ. სააკტო მ-კინტომის მოსახურაებს გასსუიდათ კასტეტების და ბატკერის და გამ. მუ-რახისა, აგრეთვე ხულებებისა და წინდებისა ნოტინგამიდა. ნამდვილი ჭკვანის ვიარები. (100—58)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკო, შოკლადი, ბისკვიტი, მუ-რახა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფები, ჩაინები, სუდოკე-ბი, ფოდნოსები, პირის-სანისი, კლიტე-ბი, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, ვოვები, დანები, კაღები, ქაღაღდი, კანკეტები, რეკლავები, კანდაშები, თაფები, რეკლავები, ჭრახები, ზღამ-

ხელის-მოწერა 1882 წლის

„ივერია“

მომავალს 1882 წელს ეურნალი „ივერია“ გამოვა იმავე სახით და სივრცით, როგორც 1881 წელს გამოვიდა.

შურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიული—რომა-ნები, მოთხრობები, პოემები, წერილი ლექსებ, როგორც ორიგინალური, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრი-ტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფი-ლებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული „მინაჟის მიმ-ხაღვას“. რედაქცია ყოველის ღონის-ძიებით ეცდება, რომ არაერთი საინ-ტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისამებრ ჩვენს ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალ-ყურის სადევნელად. შარდა შინაურის მიმოხილისა, შურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და რუსთა ქვეყნების მიმოხაღვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველი-ვე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა—წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენს ქვეყნებისათვის საინტე-რესო საგნებზედ. თეატრი—გარეშეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტორ-აქტრისების ხელოვნება. ახალი წიგნები—ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით დაბეჭდილებზედ, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს შეეხებიან. სხვა-და-სხვა ამბები—მეცნიერებისა და ლიტერატურისა.

წიგნები „ივერიისა“ გამოვა ყოველს თვისა-და-თვის დამდევს. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

შ ა ს ი

„ივერიისა“ 1882 წლისა (თორმეტი წიგნი) 7 (შვიდი) მანეთი. მისაც ერთად შემოტანა არა სურს, შეუძლიან ოთხი მანეთი პირველს იანერამდე შემოიტანოს და სამი მანეთი პირველს მისამდე.

შურნალზედ ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, რომე-ლიც იმყოფება მთა-წმიდაში, ხევის ქუჩაზედ, შარესაშვილის სახლებში, № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში, ალექსანდროვის ბაღთან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდგის აღრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію журнала „ИВЕРІЯ“. (3—1)

ელისაბედ მიხეილის ასული და კოსტანტინე იაკობის-ძე ფუბალოვი გულითადის მწუხრებით აუწყებენ—რა თავიანთ ძმის თ. ივანე მიხეილის-ძის თუბანოვის მიცვალებასა ქ. შუთაისში 28 ქრის-ტეზობისთვის, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავეებსა და ნაცნობებს რათა მობრძანდნენ რომის-კათოლიკე წმ. მღვთის-მშობლის მიძინე-ბის ეკკლესიაში, შრანგების ქუჩაზე, 31 დეკემბერს დილის 10 საათ-ზე, მიცვალებულის შესანდობარ ლოცვაზე და პანაშვიდზე.

ბანსხალეზანი ისყიდება

- 15,000 თეფში 1 ხარისხისა, თი-თო 15 კაპ.
- 12,000 ბროლის სტაქანა თითო 25 კაპ.
- 10,000 ბაგაღი და სტაქანა თითო 10 კაპ.
- 10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.
- 10,000 ნეესი, 8 კ. 40-მდინ ასი.
- 10,000 ზენაღი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.
- 5,000 ბოთლი ზორტკეინისა და ხერესის თითო 1 მან.
- 2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.
- 2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.
- 2,000 გირვანქა ინდოეთის ბრანჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.
- 1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლე-ზიოშკა 50 კაპ. გირვ.
- 600 ინგლისის რეკლავები 4 მან. 34-მდი.
- 300 ინგლისის თაფი თითო 20—100 მან.

ჩები, ვანები, ქამრები, სკოტოვები, ოსკა, უხავირები, ცხვირის-სასრცი, ტასტები, პირისსარცი, ცხვირის-სასრცი, ხულები, ტუალეტის საშინი, დუხები, შარათი, ციტამტამგენია, ჩინას ღვი-ნო, ზორტკეინი, სერესი, გონიავი და ათასი სხვ. რამეები—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართავის ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანჯობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღაღდით.

თაფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრი-კიდან—120 მან. რეკლავები 4—34 მან. და ბუდოგისა 11—20 მ. ქალის უხავირები 65 მან-დამ; შეჭიდის და-ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟი, ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-ტრები და სხვ.

უკვლავად უმრავლესი ამორჩევ თაფე-ბისა და რეკლავებისა თიფლისში. (100—58)

ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმარდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაქო და საქაღებო გამნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავ-ლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა და-გვარად დახაზული რვეულები, ასი-5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მა-საღებები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მო-თხოვნილებას მალაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირვე-ლივე წამომავალი ფოშტითა. (50—40)

ინგლისის მაღაზიაში ანწრუნის გაღვურეაში

(Maison de confiance)

- ქაღაღთი ჩეხნი ჩაი ჩაის ყველგან
- — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.
- — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაპ.
- — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაპ.
- — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაპ.
- — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაპ.
- სეუოთესი 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღაღდა, სხვაგან კი ქაღაღდით. (100—80)

ბრიტუროვის წიგნის მალაზიაში (ბა-ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იონანი-სიანთან (ოკრუჟნის სულის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა: წითელი ფარანი, ფასი 15 კ. ხატურა — — — 10 კ.